




1
1951

БОБЗО



№ 22 თბილისი ნოემბერი 1951 წ. | გამოშეტობა „კომუნისტი“ წელი XXVIII ფაზი 2 გან.



თ ე რ ე ც ე მ ა ს ე ნ ი

თურქეთის მთავრობა ცდილობს დაპიროს თავის ტერიტორიაზე ამერიკულთა სელმძღვანელობით ავებული სამხედრო ბაზები.

— აა! ჩახა ბრძანებო, ჩვენ თავით უენებამდე შეიარაღებული კი არა — თავით უენებამდე შემოხვედიც არა ვართ!



როგორც ერთი ირანული გაზეთი აქვეყნებს, — ზაფეირი ფამილიის მუშა აღი მამახანი ხაშუალან დაითხოვეს მნიშვნელ იმ მოტივით, რომ ის დანად მე- დად მაღალია. უნდა ვიფაქროთ, რომ ფამილიის პატრონი დაბალი ჭავი უოფილა და თავი ძირდაბირ მუცელზე ჰქონია დამაგრებული, რადგან მუდამ ხაյუთარ ჯიბე- უბში იხედება და მაღლა ახახედად აღარ ხცალია, რომ ლმერთს თუ არა, აღი მამახანს მაინც ახედოს...



იღომ ათი ყანწი შთანთქა, —
ვერ მოივლა წყურვილი,
ყანწის ნაცვლად მოიმარჯვა
ბოლოს ისევ ყურმილი.
გუშინ სოხოვეს ავადმყოფთან,
დღეს ეწვიათ ოლიკო,
მაგრამ მისი პაციენტი
უკვე გარდაცვლილიყო.
მოსულ ექიმს, რა თქმა უნდა,
არვინ უთხრა მაღლობა.
ცხედარს ცხარედ დასტიროდა
მთელი შთამომავლობა.
წუხანდელმა ნამთვრალეებმა
დამთქნარა იღიკომ
და იკითხა: — ავადმყოფი
პროფესიით ვინ იყო?... —
პასუხი რომ არ აღირსეს,
ჰქითხა: — სიცხე ჰქონდა?
უთხრეს: — სიცხე არ ჰქონია,
ოფლი ჰქონდა ცოტაო... —
— თუ ახეა, არა უშავს,
არაფერი არ არის... —
იღო მშვიდად იმეორებს,
ყურს არ უგდებს არავის.
არაფერი უშავს რაო...
მშვიდად ამბობს იღო და
ჩახლეჩი თი ხმა აბეზლებს,
წუხელ აიგორ იღოთა.
რად უკირავს მას ყურმილი,
რად სეირდება კუს ნალი;
როგორ უნდა დაგეხმაროს
ამნაირი მჟურნალი?
რა კაცია, თუ არ იცის
ლხინისა და შრომის დრო,
რისთვის მინდა მე ექიმი
ცოცხალს თუ არ მომისწრო!
დაიდი იგი სოფელ-სოფელ,
ბერების ჰარი-არიალის,
ენის წვერზე აკერია:
„არაფერი არ არის“.
თუმცა ჩეკნში იღოს მსგავსი
არის ერთი პროცენტი,
მაინც უნდა მოვიცილოთ,
რისთვის გვინდა ხორცმეტი!

ოთარ პალება

Օպերանու, ռոմեյոնի ծուռուն քանդակ



(„ნიაზის“ რეილს მასპლაგილან).

I

გასული წლის იელისში, საქვაჭრობის ხაშურის განყოფილებას სახელმწიფო კონტროლის კომისია ესტუმრა. აღვილი წარმოსადგენია, თუ რა ფუსტუსი შეიქმნებოდა ასეთი სტუმრების გამოქვენის დროს. საქვაჭრობის ხაშურელმა მუშაკებმა ფაციუსუცი ატეხეს, ხაპატურის ცომი გააბრტყელეს, გოჭის ყელზე დანის სიმაგრე გამოსცადეს და ის-ის იყო საღლევრძელების ოსტატის ამორჩევის თაღარისტებულდა შესდგომოლწენ, რომ რევიზორებმა უმაღლერობა გამოიჩინეს და გოჭის ტკიცინა კანს ფარატინა ქალალდების გასინჯვა-გამოსინჯვა აჯობინებს.

— გოტი საღ გაიქცევა, უკვე დაკლულია! — თქმეს მათ.

„არც ქალალდები გაიქცევათ“ — წაუჩირჩულეს ხაშურელებმა, მაგრამ ამ „გაქრობაში“ რევიზორი ერთმა ცნობამ დააექცა. ეს ცნობა გახლდათ ბორჯომის წყლის ქარხნის საფინანსო - ადმინისტრაციული განკოფილების გამგის მხედვლ რაბინოვიჩის შეირ გაცემული და იუწყებოდა, რომ საქვაჭრო-ბის ხაშურის განკოფილებამ ბორჯომის მინერალური წყლის ქარხანას ჩააბარა 280.000 მანეთის ბოთლი.

ახირებულ რევიზორზე ცუდი არაფერია! წინ ცნობა გი-
ძეს, შტაბი და ბეჭედი თავის ადგილზე აზის, ხელმოწერა
გარკვეულია, ბანქმა ფული ჩამოწერა და შენ კი საგსე ბო-
ლობზე უარს ამბობ და ცარიელების ძებნას იწყებ! ბუნებას
რომ ყველაფერი კანონიერად ჰქონდეს მოწყობილი, ასეთ კაცს
შემწვარი გოჭიც კი უნდა გაექცეს; ლობიოს გარდა, აბა, რის
ლირისია!

მაგრამ სულ მალე თვითონ ხაშურელი ს აქვაპრობელების
სახეებიც შემწვარ გოქს დაემგვანა: აზირებულმა რევიზორებმა
ცნობის გამცემი რაბინოვიჩისა და ბორჯმინწყლის ჩამოს-
ხმელი ქარხნის ბუხთალტრის ალექსანდრე ლობორჯგინიძის ხა-
შურს ჩამოყანა განიჩრახეს.

— ბორჯომელებისა და თქვენი ფინანსიური დამოკიდებულება გვაეჭვებს! — თქვეს მათ.

— ეჭვი, ბატონო, დიაცის საქმეა, როგორ გეკაღრებათ! ისე
კი, ვიღერ რაბინვიჩი და დობორჯვინიძე აქ ჩამოვა, ადამია-
ნები ვართ, ცოტათი მაინც უნდა შევნაყრდეთ!..

Համգոնաձաւ քարոզո մլուրդածոճա, հյցիշորեցի օմք-
նալ պատրիա լրամած մոմքը թուժեն յալալդեթի և սամուրալո
մասնէնձլցիս յանշալու բարձրութածա...»

მიხეილ რაბინოვიჩი იმდენად დარღიმანდი და საქმის კაცი გახლდათ, რომ აინუნშიც არ ჩაუგდია ხაშურში დაბა- რების ამბავი. ერთი კი არა, ასი რევიზიაც რომ ესტუმროს, ხაშურში კი არა, თუ გნებავთ თვით ბორჯომშიც, რაბინოვი- ჩი წარბადაც არ შეიხრის. საქმის კაცია და საქმეებს ერევა.

— ხაშურში გვეძახიან, — უთხრა მან დობორჯვებინიძეს
და მომავალი ვიზიტის ამბავი გააცნო.

ესაბმოვნა თუ არა დობორეგინიძეს ჩეცითორებთან საკირო შეხეედლის შეტყობინება, ამის შესახებ დღესაც ვერაფერს ვეტყვით, მაგრამ ერთი კი ცხადია: საფინანსო ნაწილის გამგე მ. რაბინოვიჩი და ქარხნის ბუხპალტერი ა. დობორეგინიძე ხაშურისკენ გამოიმზადეს მატარებლით.

შატარებული რამდენიმე ბაქნის გავლის შემდეგ ახალდა-
ბაში გაჩერდა. ჩვენც აქ გავჩერდეთ და ხაშურისკენ მიმავალ
მეტავრებს თავი დავანებოთ...

რეინიგზის მილიციამ ახალდაბის სადგურიდან 200 მეტრის დაშორებით აღმოაჩინა მატარებლის მიერ მოკლული ქაცი. მოხდა სათანადო შემოწმება, გაისინჯა საბუთები და დაიწერა ოქმი. ეს ოქმი დაასკვნის, რომ დაზარალებულმა მოიქლა თავი და თვითმკვლელობის მიზეზად ასახელებს ბოროტმოქმედებას, რომელიც მას (დაზარალებულს), აღბათ, დაწესებულებაში ჩაუდენია.

მატერიელშა გზა განვგრძო, ერთი-ორჯერ კიდევ გა
ჩერდა და შემდეგ ხაშურში შეგრიალდა...

ხაშურში ჩამოსული რევიზორები კვლავ საბუთებს სინ-
ჯავდნენ. ახალ-ახალ მიზეზებს ეძებდნენ და პირში ბოლოკ-
გაჩრილი გოვი კი თავის ბედს დასტიროდა, რადგან მისთვის
არავინ მოიკალა.

მატარებელმა ჩაიარა. გავიდა ერთი საათი, მეორე...და
გულმოსულმა რევიზორებმა ახალი ეჭვი გამოამტავნეს, — რა-
ბინოვისი და დობორჯვინიძე არაფრად გვაგლებენ, საქმეს
ხუმრობაში ატარებენ. კვლავ ტელეფონს მიძართეს და ვიდ-
რე ბორჯომს შეირთობდნენ, ვიღაცა კაცმა ამბავი მოიტანა...

აქ კი ბოდიში უნდა მოვიხიადო მეტობელის წინაშე, რადგან ისეთი ამბის შეტყობინებას გაპირებ, რომელიც იუმორის ტის კალამს არ შეეფერება: კაცმა ამბავი მოიტანა, რომ ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის ბუბპალტერი ალ. ლობორჯვინიძე ახალდაბასთან მატარებელში ჩაგრძა და თავი მოიკლა.

რაბინოვიჩი? რაბინოვიჩმა ხაშურში გადმოსვლა „ვერ მოასწრო“ და მატარებელს გაჰყვა...


(გაგრძელება იქნება)


8. ივანების მილი

8. ଗ୍ରାମପାଳୀ



ՀԵՂԱ ԻՎՈՅԻՆ ՌԴԼԱՅ





ჩემის ფოტოკორესპონდენცის ახეთი სურათი დახვდა თვალშინ, როცა ეგი ლეონ მუშეგიანს ესტუმრა (ჩოდრი შვილის შესახვევი № 10).

წვიმიანი დღე იყო.

კორესპონდენცია ეს დღე საგანგებოდ შეარჩია საქმის უკეთ გასარკვევად. როგორც მოსალოდნელი იყო, პატივცემული ლეონი იჯდა ჭოლგის ქვეშ (ისე როგორც სურათზე) და ახალ განცხადებას ხწერდა. წვიმის წვეობი შამჩი-მელქოს თარიღით წერიალებდნენ. იქნება დადგმულ ტაშტებზე, კვაბებში და ქოთნებში.

საქმე იმაშია, რომ ეს ციი მათ ექვსი წელიწადია მიმდინარეობს ლეონ მუშეგიანსა და რაისაბჭოს შორის... არ დარჩენილა არც ერთი რედაქცია და არც ერთი ინსტანცია, რომ ლეონ მუშეგიანს თავისი განცხადებით არ მიერთოს!..

მეორეს მხრივ სტალინის რაისაბჭოს და საბინაო სამმართველოს უთვალიდ მოწერილობით და შეპირებით მოუგერიებია მუშეგიანის იერიშები... კვილაგან ნათლად აღუნიშნავს, რომ: „სახლის სახურავი ყოველ მიზეზ გარეშე შეკეთდება“.

რაღა თქმა უნდა, ამ სახლის სახურავი დღესაც „ყოველ მიზეზ გარეშე“ შეუკეთდებლია.

და მუშეგიანიც ახალ განცხადებას ხწერს.

„ნიანგი“ შუამდგომლობს და იმედი აქვს ექვსი წლის შემდეგ მაინც მშვიდობით დამთავრდება ამ განცხადებების და მიწერილობების უთვალავი დაშერობა... რაისაბჭო უსათუოდ ასრულებს თავის დაპირებას.

ჩიტკორესპონდენცის ნობათი

გადარჩენილი ფუნქციონირება

ჩემი ჩიტკორესპონდენციი გვატყობინებს, რომ ქალაქ შულუკიძის აღილ-მრეწვისა და სხვადასხვა არტელების ზოგიერთმა ვაჭრუკანა ხელოსნებმა სახელმწიფო სახელოსნოების კერძო საკუთრებად გადააქციეს. სრულიად მოურიდებლად, ხელგაშლილად აწარმოებენ მოქალაქეებისაგან ყოველგვარი ქვითრებისა და აღრიცხვის გარეშე კერძო შეკვეთების მიღებას.

როცა ჩიტკორესპონდენცის ამ სახელოსნოებზე გადუფრენია გორდის არტელ „ინკომში“, ამავე არტელის ხილის შემკეთებელ სახელოსნოში და სარეწაო არტელ „გამარჯვებაში“ უნახავს უამრავი ნახალტურევი საფეხსაცმელე მასალა, ხოლო აღილმრეწვის ფეხსაცმელების სახელოსნოში, საღაც გამგედ კობეშივიძე, თვალი დაუკრავს ტაბრავ გადუფორმებელ შესაქეთებელ ფეხსაცმელისათვის და ხალტურაზე მიღებულ ორ წყვილ ჩექმისათვის. ხელოსან წულაიას სახელოსნოში კი აღმოუჩენია სამი წყვილი ქალის ტუფლი და ორმოცდაათი დეციმეტრი ტყავი, აღბათ, ამ ტუფლების მასალიდან გადარჩენილი.

ყველა ყველა, მაგრამ ეს მოხალტურე ხელოსნები რომ ტყავის გადარჩენის ასე აღვილად ახერხებენ, ამან ზედმეტად გაგაკვირვა.

იქნება ჰავონია...

თბილისის ქალინინის სახელობის ქარხანა არც ისე გულუხვად, მაგრამ მაინც უშეებს საბავშვო საწოლებს. აღნიშნული ქარხანა რომ ზოგიერთ სხვა, წარმოებას არ ბაძის საბავშვო საქონლის გამოშეებისადმი ცხვირის აბრუკვაში, ამის გამო მაღლობის გარდა არაფერი ეთქმის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ აღნიშნული საწოლები მაღაზიებში იყიდება დაუმთავრებელი სახით.

საწოლებს აკლია ეგრეთ წოდებული არმატურა და ამ ოთხიოდე რეკინისა და კანაფის ბაღისაგან შემდგარი კომპლექტის ცალ-ცალკე, სათითაოდ შოგნა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდება, თუ მაღაზიაში იმდენივე პროტექცია გაყო, რამდენი ნაჭრისაგანაც ეს აღვილად გამოსაშვები კომპლექტი შედგება.

მაღაზის მუშავებს ამ შემთხვევაში ვერც დავემდურებით, რაღაც ასობრთ გამოშეებულ საწოლს ათობით ძარით გამოგლეჯილი არმატურა-კომპლექტი არ ეყოფა.

საინტერესოა რას ფიქრობს ქარხნის დიარექტორი ამხ. სამადაშვილი, როცა დაუმთავრებელ პროდუქციას უშეებს: იქნება ბერინია, რომ საბავშვო საწოლებს ბევრები ყიდულობენ?



— ხომ გეუბნებოდი, ჩემო ნიკა, ღორშე რომ ვზრუნავთ, სალორეზეც ვიზრუნოთ-მეთქი! ახლა ჩაღა ვქნათ, რა გვეშველება!

— სალორე ხომ დანგრეულია და დანგრეული, საახალწლოდ ღორიც დაფკლათ და ჟეიმით დაფართხოთ ჩვენი მელორეობა...

მოხარულ-მონათლური რაციონი

ჩიტკორესპონდენტმა ეს-ეს არის რედაქციაში შემოაფრინა მმაჩის ბიუროს სტანდარტული ანკეტა-განცხადება. რომელშიც, სხვათა შორის, შემდეგს ვყითხულობთ: „განცხადება. გთხოვთ მომცეთ განმეორებითი დაბადების მოწმობა მოქ...“ განცხადების საანკეტო კითხვა-პასუხებში კი ვხვდებით ასეთ ადგილს: „სააქტო ჩანაწერი მოხდენილია (მონათლურია)“... და სხვ.

მოქალაქის განმეორებით დაბადება რომ დღემდე თვით ზღაპრულმა ძალებმაც ვერ შეძლეს, ამაში მმაჩის ბიუროს თანამშრომლებიც ადგილად დაგვეთანხმებიან. მაგრამ ეს „მოხდენილ-მონათლური სააქტო ჩანაწერი“ რომ რაიმეს ნიშნავდეს, ამაში ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან ამ ანკეტაში, უცოდინარი კაცის მიერ მოქალაქისადმი „მოხდენილ“ უნებლივ დაცინვის გარდა, ვერაფერს ვხედავთ.

განცხადება

ეს ცნობით მომცეთ განმეორებითი დაბადების მოწმობა, მუ. ვ. მხატვარი, ჩახურა
მუხრანი, სახურა, ასული ისახება

დათარი მხატვარი 1914წ.

სახურა მისწერით მომცეთილია (მონათლური)

მაცხოვი უსახ, მცდა-უცდა

სახურა უცდა მისწერით მომცეთილია (მონათლური)

მაცხოვი უსახ, მცდა-უცდა

რედაქტორი კარლი ერლა ბრი. სარედაქტო მოღვაწე: ვ. აბაშიძე, ა. ბელიაშვილი,

ო. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნინეშვილი, ს. ფავალაშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Инанги“. Редакция: მიხაელი რუსთაველის პროსპ. № 42. ტეл. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1951 წ. 10/XII. სტამბა „ზარია ვისტოდა“, რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. № 2719. გამოც. № 22. ტირ. 15.000. უ. 06611.

ဒါနဂါ တန်ခိုဗုံး (ဒုက္ခနိုလွှာဗိုလ်ချုပ်၊ အမျိုး၊ ဘျော်တွေ့ပွဲလီ ဖုရားရှင်း)

— အေ, ဒေါ် အောက် ဒုသွေ့လွှာဗိုလ်ချုပ် လူ စားစွဲဖွေ့ဖြေ့ပေး မြန်မာရှိ ဒာရ်၊ အောင်ဖြော်ပေး!

